2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

2021

სარჩევი

..... 4

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შესახებ 4

ანგარიშის მოკლე მიმოხილვა..... 5

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა 6

ამოცანა 1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციის მიღების მხარდაჭერა 6

საქმიანობა 1.1. საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტის შემუშავება 6

საქმიანობა 1.2. საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და დამტკიცება 7

საქმიანობა 1.3. კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების (GIA) მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალიზაცია პარლამენტში..... 7

საქმიანობა 1.4. „არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის შესახებ“ თემატური მოკვლევის ჩატარება 8

საქმიანობა 1.5. თემატური მოკვლევის „ქალების მონაწილეობა ჩრდილოვან ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა მათზე“ ჩატარება 8

საქმიანობა 1.6. თემატური მოკვლევის „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“ ჩატარება 10

საქმიანობა 1.7. განხორციელებული თემატური მოკვლევების მონიტორინგი: გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი..... 11

საქმიანობა 1.8. ანგარიშის „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“ განახლება 12

საქმიანობა 1.9. გენდერული ბიუჯეტირება და გენდერული მეინსტრიმინგი..... 12

საქმიანობა 1.10. თემატური მოსმენები ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) მეთოდოლოგიის დამტკიცებისა და განხორციელების შესახებ 13

..... 15

ამოცანა 2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფის და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა 15

საქმიანობა 2.1. სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი 15

საქმიანობა 2.3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის შემუშავება..... 17

..... 18

ამოცანა 3. გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა 18

საქმიანობა 3.1. პოლიტიკის განხილვის და დაგეგმვის პლატფორმის შექმნა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმის დახვეწის მიზნით 18

ამოცანა 4. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომუნიკაციის გაძლიერება 22

საქმიანობა 4.1. საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიების განხორციელება 22

საქმიანობა 4.2. თანამშრომლობის გაღრმავება საკონსულტაციო საბჭოებთან 23

საქმიანობა 4.3. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება 24

საქმიანობა 4.4. კოორდინირებული საქმიანობა დონორ ორგანიზაციებთან 25

საქმიანობა 4.5. პარლამენტისთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა 26

..... 27

ამოცანა 5. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა 27

საქმიანობა 5.1. გენდერული კვოტირების შესახებ პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური კომუნიკაცია გენდერული კვოტირების მექანიზმის ეფექტურად გამოყენების მიზნით 27

საქმიანობა 5.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობა 27

საქმიანობა 5.3. თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან 29

საქმიანობა 5.4. სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება 30

საქმიანობა 5.5. საინფორმაციო შეხვედრები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების ირგვლივ 32

საქმიანობა 5.6. ევროპული ქარტიის პრინციპის - „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ შესახებ ხელის შეწყობა 33

საქმიანობა 5.7. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა 34

ამოცანა 6. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი 35

საქმიანობა 6.1. საქართველოს მთავრობის ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწესგან 35

საქმიანობა 6.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა..... 35

საქმიანობა 6.3. საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საპარლამენტო მონიტორინგში საბჭოს ჩართვა 35

..... 36

საბჭოს მიერ 2021 წელს განხორციელებული დამატებითი საქმიანობები 36

2021 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებს გარეთ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივები..... 36

მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზის მოწყობა საქართველოს პარლამენტის სასახლეში 38

ინიციატივა მეწარმე ქალთა ხელშეწყობისათვის 38

ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე..... 39

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შესახებ

საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა.

მოგვიანებით, 2010 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ, გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი ორგანო გახდა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შექმნილია პარლამენტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.[1]

საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, საბჭოს დებულებითა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სხვა აქტებით.

საბჭო ხელს უწყობს საქართველოს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებაში, შესაბამისი სტრატეგიის განხილვასა და დამტკიცებაში, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის განხორციელებაში.

საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება. ამ მიზნით საბჭო თანამშრომლობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერულ საკითხებში მრჩევლებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრ ქალებთან.

საბჭოს მისიაა, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას და

---

[1] მეათე მოწვევის პარლამენტში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.parliament.ge/parliament/councils/51090/deputies

თემის პოპულარიზაციას როგორც გარე, ისე შიდა აუდიტორიაში. უზრუნველყოს სხვადასხვა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის ძალისხმევის გაერთიანება ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის წარმოებისას.

ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მოიცავს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვას.

2021 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭომ ჩაატარა 8 სხდომა და 140 სამუშაო შეხვედრა თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში ცალკეული დონორებისა და უწყებების ჩართულობით; აგრეთვე, მიიღო მონაწილეობა 58 ფორუმსა და კონფერენციაში, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და განხილვის საკითხები; ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; ინკლუზიური საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ქალთა გაძლიერების გზით; მეწარმე ქალთა მენტორობის პროგრამის დანერგვა; ოჯახისადმი მეგობრული პოლიტიკა სამუშაო ადგილებზე: პოლიტიკა VS პრაქტიკა და სხვა.

აქტივობა	2021 (იანვარი - დეკემბერი)
საბჭოს სხდომა	8
შეხვედრები თბილისში	132
გასვლითი შეხვედრები/ვიზიტები საქართველოს რეგიონებში	7
ფორუმები/კონფერენციები/სიტყვით გამოსვლა	58
საერთაშორისო ვიზიტები ქვეყნის გარეთ	0

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა

2021 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის 26 აპრილის სხდომაზე და მოიცავს ექვს ძირითად მიმართულებას:

1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება;
2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება;
3. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა;
4. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი;
5. საბჭოს კომუნიკაციის გაძლიერება;
6. ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის თაობაზე.

ამოცანა 1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციის მიღების მხარდაჭერა

საქმიანობა 1.1. საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტის შემუშავება

საბჭომ 2021 წელს აქტიურად გააგრძელა გენდერული თანასწორობის განახლებული სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების პროცესი, რომელიც 2019 წელს დაიწყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით. აღნიშნული კონცეფციის შემუშავების ფარგლებში ჩატარდა 6 სამუშაო შეხვედრა.

დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას გენდერის ნიშნით ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროში, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ურთიერთობებში. კონცეფციის ამოსავალი წერტილია გენდერული უთანასწორობის ძირეული და სისტემური მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრა.

დოკუმენტის მასშტაბიდან გამომდინარე, მასზე მუშაობა ინტერპარტიულ და უწყებათაშორის ფორმატში გაგრძელდა. საბჭომ კონცეფციის შესახებ შენიშვნები და კომენტარები მიიღო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სამინისტროების, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის, საპარლამენტო ფრაქციებისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციებისაგან. მოსაზრებების მიღება მოხდა შემდეგი უწყებებისაგან:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

2021 წლის 25 ოქტომბერს შემუშავებული კონცეფცია გაზიარდა პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებთან გენდერული თემატური ჯგუფის (GTG) შეხვედრის ფარგლებში, ხოლო 1 დეკემბერს დოკუმენტი გაეგზავნა საბჭოს პარტნიორ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, რომლებიც გენდერის, უმცირესობებისა და თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ.

კონცეფციის ინიცირება დაგეგმილია პარლამენტის 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

საქმიანობა 1.2. საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და დამტკიცება

2021 წლის დეკემბრიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე. საბჭოს სამდივნომ 2021 წლის დეკემბრის თვეში შეიმუშავა დოკუმენტის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს მომავალი 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებსა და აქტივობებს, როგორც ქვეყანაში გენდერული პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების, აგრეთვე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

პარტნიორი დონორი ორგანიზაციების - ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა გასვლითი საკოორდინაციო შეხვედრა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გასაცნობად და მათგან უკუკავშირის მისაღებად. სამოქმედო გეგმა დამტკიცების შემდეგ გამოქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

საქმიანობა 1.3. კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების (GIA) მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალიზაცია პარლამენტში

2021 წლის აპრილში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან საბჭოს წევრები, პარტნიორი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართვლოს პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების საკითხში და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, 2021 წლის განმავლობაში, ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს გენდერული გავლენის შეფასების ორეტაპიან პროცესს, კერძოდ, საბჭო იკისრებს მთავარ მაკოორდინირებელ ფუნქციას და ერთგვარი ჩექლისთის მეშვეობით განსაზღვრავს თუ რომელ კანონპროექტებზე/ინიციატივებზე უნდა განხორციელდეს სრულყოფილი GIA.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმის 1.3.2 აქტივობაში გაწერილია GIA-ს განხორციელება შერჩეულ კანონპროექტებზე, რაც ვერ მოხერხდა 2021 წლის პერიოდში თავად საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე; კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესი მრავალმხრივი დისკუსიის შედეგად დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა და 2021 წელს ვერ მოესწრო მისი დამტკიცება.

ამასთანავე, სამოქმედო გეგმის 1.3.5 აქტივობის მიხედვით დაგეგმილი იყო კომიტეტის აპარატის თანამშრომლების გადამზადება GIA-ს შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, გადაიდო გენდერული გავლენის ანალიზის მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე.

საქმიანობა 1.4. „არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის შესახებ“ თემატური მოკვლევის ჩატარება

სახალხო დამცველისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პარტნიორობით შეიქმნა სპეციალური ანგარიში[2] ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, რომელმაც სრულად დაფარა თემატური მოკვლევის საკითხი. აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ არასრულწლოვანთა მიერ სექსუალური ძალადობის პრევენციის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჩატარება აღარ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული. ზემოაღნიშნული სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა 2021 წლის 4 აგვისტოს და მასში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა.

საქმიანობა 1.5. თემატური მოკვლევის „ქალების მონაწილეობა ჩრდილოვან ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა მათზე“ ჩატარება

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 26 აპრილის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის „ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა“[3] დაწყების შესახებ. თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარ მომხსენებლად განისაზღვრა ხატია წილოსანი, ხოლო წევრებად მარიამ ლაშხი და რამინა ბერაძე. ინფორმაცია მოკვლევის დაწყების შესახებ პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 5 დღის ვადაში და მოიცავდა თემატური მოკვლევის დასახელებას, საკითხის მოკლე აღწერას, ინფორმაციას თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების შესახებ და დაინტერესებული პირებისათვის მათი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესისა და ვადების შესახებ დეტალებს.

2021 წლის 8 ივნისს პარლამენტში გაიმართა თემატური მოკვლევის ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დონორმა ორგანიზაციებმა, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრა გაიმართა ჰიბრიდულ ფორმატში და ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდა

[2] აღნიშნული ანგარიში იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://ombudsman.ge/res/docs/2021080215240452054.pdf

[3] თემატური მოკვლევა განხორციელდა PROLoG/USAID-ის მხარდაჭერით

დეტალური ინფორმაცია თემატური მოკვლევის მიზნების, მსვლელობისა და მათი ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ.

თემატური მოკვლევის ფარგლებში 6 ორგანიზაციისგან მოხდა მოსაზრებების წერილობითი სახით გაზიარება, აღნიშნული ორგანიზაციებია:

1. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია;
3. ამერიკის სოლიდარობის ცენტრი;
4. საოჯახო მშრომელთა საინიციატივო ჯგუფი;
5. სოციალური სამართლიანობის ცენტრი;
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

2021 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა საკითხის ზეპირი მოსმენა, რის ფარგლებშიც მოკვლევის ჯგუფმა მოუსმინა 5 უწყებას, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველის ოფისიდან მიიღო წერილობითი პასუხები. ზემოაღნიშნული უწყებებია:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
3. საქართველოს შემოსავლების სამსახური;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
5. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური.

თემატურ მოკვლევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გამოქვეყნდა დროულად, მათ შორის, ინფორმაცია თემატური მოკვლევის საკითხის ზეპირი მოსმენების შესახებ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ღონისძიებამდე 1 კვირით ადრე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნული თემატური მოკვლევა დასრულდა 2021 დეკემბერში. მოკვლევის ანგარიში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის ბიუროს და გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე[4].

2021 წლის 14 დეკემბერს საბჭომ სოციალურ ქსელში წარადგინა თემატური მოკვლევის მთავარი მომხსენებლის ვიდეო[5] მიმართვა ანგარიშის საკვანძო მიგნებების შესახებ. 2021 წლის 28 დეკემბერს აღნიშნული ანგარიში დაეგზავნა ყველა სახელმწიფო უწყებას, რომელთა მიმართაც გაცემული იყო რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის შედეგად ოჯახში დასაქმებასთან დაკავშირებული არაერთი გამოწვევა გამოიკვეთა, მათ შორის: დასაქმებულთა „არასაკმარისი და არაეფექტიანი სამართლებრივი დაცვა; საქმიანობის არაფორმალურობა; ცნობიერების ნაკლებობა მათი, როგორც დასაქმებულების, სამოქალაქო და შრომითი უფლებების შესახებ და სხვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში დასაქმების რეგულირება სერიოზული გამოწვევაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსათვის.

---

[4] თემატური მოკვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/covid-19/Thematic-Inquiry-Report-Covid%2019%20impact%2012.15.21.pdf

[5] ვიდეო მიმართვა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://fb.watch/aLZmEr3e96/

მოკვლევით დადასტურდა, რომ ოჯახში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია. მათი უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოს კონტროლს მიღმაა დარჩენილი და ამ პირთა მხრიდან საკუთარი უფლებების დაცვისათვის არ გააჩნიათ არც საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩო, არც სათანადო ცოდნა. ეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა covid-19 პანდემიის დროს. ბევრმა დაკარგა სამუშაო, ხოლო მათ ვინც შენარჩუნება შეძლო, აღმოჩნდა კიდევ უფრო კაბალურ პირობებში დასაქმებული.

მოკვლევის ფარგლებში ასევე ცალსახად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ოჯახში დასაქმების მიმართულებით მოხდეს შესაბამისი სტრატეგიისა და ხედვის შემუშავება სოციალური პარტნიორების და უწყებების ჩართულობით.

საქმიანობა 1.6. თემატური მოკვლევის „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“ ჩატარება

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“[6] დაწყების შესახებ. თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარ მომხსენებლად განისაზღვრა მარიამ ლაშხი, ხოლო წევრებად: ნინო წილოსანი, ნინო იობაშვილი, ხათუნა კვიციანი, მიხეილ სარჯველაძე და ანა ნაცვლიშვილი. აღნიშნული ინფორმაცია მოკვლევის დაწყების შესახებ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, 5 დღის ვადაში და მოიცავდა თემატური მოკვლევის დასახელებას, საკითხის მოკლე აღწერას, ინფორმაციას თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების შესახებ და დაინტერესებული პირებისათვის მათი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესისა და ვადების შესახებ ინფორმაციას.

თემატური მოკვლევის ჯგუფმა წერილობითი მოსაზრებები მიიღო ქალთა საინფორმაციო ცენტრისგან (WIC) და 4 სახელმწიფო უწყებისგან:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვინაიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რეგლამენტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება, პარლამენტის 2021 წლის შემოდგომის სესიის დასრულებასთან ერთად შეჩერდა თემატური მოკვლევის ჩატარების პროცესი. თემატური მოკვლევის ფარგლებში ზეპირი მოსმენების ჩატარება დაგეგმილია 2022 წლის თებერვალში.

[6] თემატური მოკვლევა ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით

საქმიანობა 1.7. განხორციელებული თემატური მოკვლევების მონიტორინგი: გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი

2021 წელს საბჭომ დაიწყო წინა წლებში განხორციელებული 3 თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი:

1. **სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა** - გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით დაიგზავნა წერილები შესაბამის უწყებებში:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
5. სოფლის განვითარების სააგენტო;
6. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;
7. სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

2. **პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის** გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით დაიგზავნა 70 წერილი შესაბამის სახელმწიფო უწყებებში და მუნიციპალიტეტებში.

აღსანიშნავია, რომ ორივე ზემოთხსენებული თემატური მოკვლევისათვის მომზადდა მონიტორინგის ერთიანი ანგარიში,[7] რომლის პირველადი დრაფტი საბჭოს თავმჯდომარემ 2021 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე გააცნო საბჭოს წევრებსა და ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების ადრესატი უწყებების წარმომადგენლებს.

3. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ** - გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით გაიგზავნა წერილები შემდეგ უწყებებში:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
4. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო;
5. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მონიტორინგის პროცესში საბჭომ ჩაატარა 3 ფართომაშტაბიანი შეხვედრა ჩართული უწყებებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ინფორმირების მიზნით:

- 2021 წლის 29 ივნისი - ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები, საბჭოს წევრები, პარლამენტის კომიტეტებისა და შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების წარმომადგენლები;
- 2021 წლის 6 სექტემბერი - საბჭო ონლაინ ფორმატში შეხვდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ეხმარებიან გაცემული რეკომენდაციების აღსრულების პროცესში.
- 2021 წლის 21 დეკემბერი - უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დამუშავებული ინფორმაცია საბჭომ წარუდგინა საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებსა და

[7] ანგარიში მომზადდა Egeria Solutions მხარდაჭერით

უწყებებს. სამომავლოდ იგეგმება ზეპირი მოსმენები შესაბამისი უწყებების ჩართულობითა და კონსულტაციები ადგილობრივ ორგანიზაციებთან რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა მონიტორინგის ანგარიშზე.[8]

ამასთანავე, საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციებთან საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით; მათ შორის, 2021 წლის 10 ნოემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ექსპერტებთან - თამარ ჩუგოშვილთან და შოტლანდიის პარლამენტის ყოფილ სპიკერთან, კენ მაკინტოშთან. შეხვედრაზე იმსჯელეს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერების გზებსა და დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხედველობის მანდატით გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად წარმართვას.

საქმიანობა 1.8. ანგარიშის „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“ განახლება

საბჭოს ინიციატივითა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების (NDI, UNDP, PROLoG, UNFPA) მხარდაჭერით 2021 წელს განახლდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ანგარიში გენდერული თანასწორობის კუთხით „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“. აღნიშნული მიზნით 2021 წელს ჩატარდა 3 სამუშაო შეხვედრა:

1. 2021 წლის 28 მაისი - დაიგეგმა ანგარიშის განახლების მთავარი მიმართულებები და პრიორიტეტები, დაზუსტდა ანგარიშის ფორმა და საქმიანობის მომავალი ნაბიჯები.
2. 12 ოქტომბერი - რიგით მეორე სამუშაო შეხვედრა მიმდინარე პროგრესის გასაცნობად.
3. 9 ნოემბერი - შეხვედრა კვლევის ექსპერტების ჯგუფის მონაწილეობით და ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია, რომ პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, 2021 წელს ვერ მოხერხდა განახლებული ანგარიშის პრეზენტაცია და განახლებული ანგარიშის გაცნობის მიზნით მასშტაბური შეხვედრის ჩატარება მაღალი რანგის სტუმრებისა და გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, თუმცა ანგარიშის ფართო მასებისთვის გაცნობა და შემდგომ მისი გამოქვეყნება დაგეგმილია 2022 წლის დასაწყისში.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ანგარიშში გაიწერა დოკუმენტის პირველ ვერსიაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი და დაემატა ახალი თავი გენდერული ბიუჯეტირების, გენდერული აუდიტისა და გენდერული გავლენის ანალიზის (GIA)-ს შესახებ.

საქმიანობა 1.9. გენდერული ბიუჯეტირება და გენდერული მეინსტრიმინგი

2021 წელს გენდერული ბიუჯეტირების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საბჭომ ჩაატარა სამუშაო შეხვედრები საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილის, პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაცია - გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლების მონაწილეობით.

[8] ანგარიში მზადდება ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით

შეხვედრებზე მონაწილეებმა იმსჯელეს გენდერული ბიუჯეტირების განხორციელების შესაძლო ფორმასა და სისტემაზე.

საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის ინდექსი და ანგარიშის ფორმა, რომელიც პირველ ეტაპზე განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტში გენდერულ მგრძნობელობის ხარისხსა და ბიუჯეტში გენდერულ ნაწილზე პირდაპირ და ირიბად კონცენტრირებულ რესურსებს. შეფასება მოხდება 4 წელიწადში 2-ჯერ: ახალი მოწვევის პარლამენტის შეკრებისას და საქმიანობის დასრულებისას. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, შეფასების მოდელი ეფუძნება საერთაშორისო EIGE მეთოდოლოგიას და ადაპტირებულია ქართულ რეალობაზე. იგი მოიცავს 5 მიმართულებას და 71 ქვეინდიკატორს/კითხვას. ინდიკატორის გარდა, საბჭო უზრუნველყოფს მოკლე ანგარიშის დაწერას ყოველი შეფასებისას, სადაც დეტალურად იქნება განმარტებული ყოველი ინდიკატორის პასუხი.

მუშაობის პროცესში მოხდა შეფასებაში მონაწილე პარლამენტის აპარატის დეპარტამენტებისა და კომიტეტების აპარატების იდენტიფიცირება და მეთოდოლოგიის მათთვის გაცნობა.

გენდერული მგრძნობელობის ინდექსი და ანგარიშის მეთოდოლოგია დამტკიცდა საბჭოს 2021 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე. 2022 წლის პირველი კვარტლიდან მოხდება პირველი ანგარიშგება, რისი შედეგების საფუძველზეც დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის გაზრდის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის 2022 წლის პროგრამულ ბიუჯეტში საკანონმდებლო საქმიანობის ნაწილში აისახა ჩანაწერი გენდერული საქმიანობის შესახებ ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით:

„გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება.“

საქმიანობა 1.10. თემატური მოსმენები ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) მეთოდოლოგიის დამტკიცებისა და განხორციელების შესახებ

2021 წელს საბჭომ ჩაატარა თემატური მოსმენები შრომის ანაზღაურების სხვაობის დათვლის (Pay Gap) მეთოდოლოგიისა და ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა ქვეყანაში ამ საკითხზე მომუშავე ისეთ უწყებებსა და ორგანიზაციებთან, როგორიცაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET. 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, მათ შორის:

21 ივნისი - საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრებმა მოისმინეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, თამილა ბარკალაიას მოხსენება „თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციის (EPIC)“ წევრობის მნიშვნელობისა და წევრობის შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. აგრეთვე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლის მოხსენება სახელფასო სხვაობის დათვლის მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ.

11 აგვისტო - საბჭო გაეცნო მიმდინარე სიტუაციას ქვეყანაში ანაზღაურების სხვაობის მდგომარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამილა ბარკალაიამ მოკლე მოხსენება გააკეთა სოციალური დაცვის პროგრამების გაფართოებისა და ამ მხრივ დაგეგმილი რეფორმის საკითხებზე.

14 სექტემბერი - საბჭო გაეცნო გენდერული გავლენის ანალიზის დოკუმენტს თანაბარი ანაზღაურების შეფასების და ანგარიშგების მეთოდოლოგიური მოდელების შესახებ, ხოლო გაეროს ქალთა ორგანიზაციის საერთაშორისო კონსულტანტმა მარიან პეტრესკიმ ისაუბრა გენდერული სახელფასო სხვაობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიურ მიდგომებზე.

17 სექტემბერი - საბჭოს მხრიდან აქტიური ლობირების შემდეგ, საქართველო მიუერთდა თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციას (EPIC), რომლის ხელმოწერის ცერემონიას

დაესწრნენ საბჭოს წევრები. აღნიშნული კოალიციის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით გენდერული სახელფასო სხვაობების შემცირება და ქალისა და მამაკაცისთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა თანაბარი ღირებულების საქმიანობის გაწევისას.

ამოცანა 2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფის და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა

საქმიანობა 2.1. სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი

სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საბჭომ 2021 წლის 21 ივნისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობა“[9] დაწყების თაობაზე. თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარ მომხსენებლად განისაზღვრა ნინო წილოსანი, ხოლო წევრებად: გიორგი ხელაშვილი, ხატია წილოსანი, თეონა აქუბარდია და ხათუნა კვიციანი. ინფორმაცია მოკვლევის დაწყების შესახებ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, 5 დღის ვადაში და მოიცავდა თემატური მოკვლევის დასახელებას, საკითხის მოკლე აღწერას, ინფორმაციას თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების შესახებ და დაინტერესებული პირებისათვის მათი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესისა და ვადების შესახებ დეტალებს.

მოკვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა/ვიზიტი.

2021 წლის 25 ოქტომბერს განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრებისა და თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩართული ექსპერტების ვიზიტი თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში, სადაც ისინი ადგილზე გაეცნენ ცენტრის ბენეფიციარების საჭიროებებს და კრიზისული ცენტრის საქმიანობის მიმართულებებს.

თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარდა საკითხის 4 ზეპირი მოსმენა 8 სახელმწიფო უწყებისა და 12 ადგილობრივი ორგანიზაციის მონაწილეობით:

1. 2021 წლის 3 ნოემბერს სამუშაო ჯგუფმა მოუსმინა წერილობითი მოსაზრებების წარმომდგენ 7 ორგანიზაციას;
2. 2021 წლის 5 ნოემბერს სამუშაო ჯგუფმა მოუსმინა საქართველოს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების ზეპირ მოსაზრებებს;
3. 2021 წლის 10 ნოემბერს საბჭომ ონლაინ ფორმატში ჩაატარა ზეპირი მოსმენა, რომლის ფარგლებშიც მოისმინა 5 ადგილობრივი ორგანიზაციის მოსაზრებები;

[9] თემატური მოკვლევა განხორციელდა USAID/GGI-ს მხარდაჭერით

4. 2021 წლის 22 ნოემბერს ზეპირი მოსმენების ფარგლებში მოხდა 6 სახელმწიფო უწყების წარმომადგენლების ზეპირი მოსაზრებების გაზიარება.

2021 წლის 19-20 დეკემბერს საბჭომ ჩაატარა გასვლითი სამუშაო შეხვედრა, რის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღეს თემატურ მოკვლევაში ჩართულმა უწყებებმა და მოსაზრებების წარმომდგენმა ორგანიზაციებმა; ისინი ადგილზე გაეცნენ თემატური მოკვლევის ანგარიშის პირველად სამუშაო ვერსიას და მიიღეს მონაწილეობა დისკუსიაში.

აღსანიშნავია, რომ თემატურ მოკვლევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გამოქვეყნდა დროულად, მათ შორის, ინფორმაცია თემატური მოკვლევის საკითხის ზეპირი მოსმენების შესახებ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე თითოეულ ზეპირ მოსმენამდე 1 კვირით ადრე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თემატური მოკვლევის ვადა გახანგრძლივდა და მისი დასრულება დაგეგმილია 2022 წლის მარტში.

საქმიანობა 2.2. მშობლის დეკრეტული შვებულების საკითხის ანალიზი, როგორც გენდერულად სენსიტიური ოჯახებისადმი კეთილგანწყობილი პოლიტიკის ნაწილი

მშობლის დეკრეტული შვებულების საკითხთან დაკავშირებით საბჭო აქტიურად მუშაობდა 2021 წლის განმავლობაში. ამ მიზნით როგორც პარლამენტში ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა ძირითადი აქტორების (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი) მონაწილეობით, ასევე საბჭოს წევრებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა პრეზენტაციებსა და კონფერენციებში, მათ შორის:

2021 წლის 9 ივლისი - საბჭომ მონაწილეობა მიიღო გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET-ის ორგანიზებით ჩატარებულ ღონისძიებაში - საქართველოში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დედობის დაცვის შესახებ 183-ე კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების შედეგების პრეზენტაცია. ღონისძიებაზე მოხდა იმ მინიმალურ სტანდარტებზე მსჯელობა, რომელთა დანერგვაც საჭიროა ორსული ქალებისა და დასაქმებული დედების ადეკვატურად დასაცავად შრომის ბაზარზე.

2021 წლის 23 ივლისი - საბჭომ საქართველოს პარლამენტის სასახლეში ჩაატარა სამუშაო შეხვედრა დეკრეტული შვებულების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლები.

2021 წლის 11 აგვისტო - საბჭოს ინიციატივით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით დეკრეტული შვებულებისა და სოციალური დაცვის პროგრამების გაფართოების საკითხებზე.

2021 წლის 6-8 დეკემბერი - საბჭომ მონაწილეობა მიიღო გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებულ შეხვედრაში თემაზე „ოჯახზე მორგებული პოლიტიკა და პრაქტიკა სამუშაო ადგილზე“. ღონისძიების ფარგლებში, ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა დეკრეტული შვებულების საკითხზე და ხაზი გაესვა იმ გამოწვევებს, რომლებიც არსებობს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. შეხვედრებზე დისკუსია წარიმართა კომპანიებისა და სამთავრობო სექტორის ოჯახზე მორგებული პოლიტიკის, მონაწილეთა პირადი მაგალითებისა და გამოწვევების შესახებ.

მიუხედავად განხორციელებული საქმიანობებისა, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დეკრეტული შვებულების საკითხი კვლავაც რჩება საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტებში და იგეგმება აღნიშნულ თემაზე მუშაობის გაგრძელება 2022 წლის განმავლობაში.

საქმიანობა 2.3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის შემუშავება

2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით აქტიურად დაიწყო მუშაობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებაზე. დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სპეციფიური გენდერული თანასწორობის გამოწვევების გათვალისწინებით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც ითვალისწინებს ინტერვენციებს როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, როგორც კერძო პრაქტიკებში, ისე სახელმწიფო ინსტიტუციების დონეზე.

კონცეფციის შექმნის პროცესს წინ უძღოდა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მთავარ აქტორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით და სამაგიდო კვლევის შემუშავება, რომელმაც მეორად წყაროებზე დაყრდნობით, ქალთა ეკონომიკური განვითარების შვიდი მამოძრავებლისა და მდგრადი განვითარების მიზნების ირგვლივ შეკრიბა ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები გენდერული თანასწორობის ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე, საბჭოს 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე დამტკიცდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც გაწევრიანდა 30 დეპუტატი ინტერპარტიულ ფორმატში.

2021 წლის განმავლობაში კონცეფციაზე მუშაობის პროცესში არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, მათ შორის:

20 ივლისი - კონცეფციის პირველადი დრაფტის გაცნობა. შეხვედრა ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში და მასში მონაწილეობა ყველა დაინტერესებული პირისთვის იყო ხელმისაწვდომი. ღონისძიების პირველ ნაწილში გაიმართა დისკუსია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვის, მისი მნიშვნელობის მიმოხილვისა და ამ პროცესში პარლამენტის ჩართულობის როლის განსაზღვრის შესახებ. დამსწრე საზოგადოება გაეცნო დოკუმენტის ძირითად არსსა და სტრუქტურას.

2 აგვისტო - საბჭოს სხდომაზე ნინო წილოსანმა გააკეთა მოკლე მოხსენება კონცეფციის სამუშაო ჯგუფის პროგრესისა და დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილ ძირითად მიგნებებზე. ასევე, სხდომაზე იმსჯელეს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის სამუშაო ჯგუფის გაფართოების საკითხზე. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის განახლებული შემადგენლობა, რაც გამოიწვია საბჭოს წევრების რაოდენობისა და კონცეფციის სამუშაო ჯგუფში წევრობის მსურველთა ზრდამ.

20 ოქტომბერი - სამუშაო ჯგუფმა წარადგინა დოკუმენტის დამუშავებული ვერსია.

27 ოქტომბერი - კონცეფციის განახლებული ვერსია გაეგზავნა ყველა დონორ და ადგილობრივ ორგანიზაციას მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კონცეფციაზე მუშაობა ოფიციალურად დასრულდა 2021 წლის 6 დეკემბერს, ხოლო მისი ინიცირება დაიგეგმა პარლამენტის 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

ამოცანა 3. გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა

საქმიანობა 3.1. პოლიტიკის განხილვის და დაგეგმვის პლატფორმის შექმნა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმის დახვეწის მიზნით

გენდერული პოლიტიკის უკეთესად დაგეგმვის, უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის კოორდინაციის მიზნით 2021 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარალამენტო საბჭო რეგულარულად ატარებდა შეხვედრებს და კონსულტაციებს, რომელშიც მონაწილეობდნენ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გენდერული თანასწორობის საბჭოები. გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისიისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოს თემატურ მოკვლევებში და წარმოადგენდნენ მოსაზრებებს როგორც წერილობით ფორმით, ასევე მონაწილეობას ღებულობდნენ ზეპირ მოსმენებში. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელმა და აღნიშნულმა უწყებებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის პროექტების შემუშავებისას. მათი მხრიდან წლის განმავლობაში რეგულარულად ხდებოდა წერილობითი მოსაზრებების გაზიარება და კონკრეტულ თემატურ საკითხებზე პოზიციების დაფიქსირება. აგრეთვე, მთავრობის ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების შტოში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივებისა და ცალკეული საკითხების კოორდინაციას.

საქმიანობა 3.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან სისტემური კოორდინაციის ინსტიტუციონალიზაცია

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობის ადმინისტრაციასა და მის ფარგლებში შემავალ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, 2021 წლის 25 ოქტომბერს საბჭომ ოფიციალურად წარადგინა საბჭოს წევრი ნინო იობაშვილი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიაში საბჭოს მხრიდან სათათბირო ხმის უფლებით მოსარგებლე წევრად.

11 ნოემბერს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა ნინო იობაშვილმა მონაწილეობა მიიღეს უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში, რის ფარგლებშიც წარადგინეს გენდერული თანასწორობის განახლებული სახელმწიფო კონცეფციისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციების მოკლე მონახაზი.

ამასთანავე, საბჭო მთავრობის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით ჩაერთო 16 დღიან გლობალურ კამპანიაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი საბჭოს 12 წევრის მონაწილეობით ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. ასევე, 22 ნოემბერს საბჭოს სამდივნომ მონაწილეობა მიიღო უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო შეხვედრაში აღნიშნული კამპანიის დასაგეგმად.

2021 წლის 31 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით საბჭოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ სამწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში, სახელმწიფო უწყებების, სამიზნე მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივ სემინარში;

სამოქმედო გეგმის 3.2.5 აქტივობის თანახმად, საბჭომ უწყებათაშორისი კომისიის ანგარიში მოისმინა 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე, რომელზეც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსმა მაკა ფერაძემ 2020 წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.

2021 წელს საბჭო და უწყებათაშორისი კომისია, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო და პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდნენ საბჭოსა და კომისიის საქმიანობის ყველა ეტაპზე, რაც განსაკუთრებით წარმატებულ თანამშრომლობის პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული უწყების წარმომადგენლები მათი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად ჩაერთვნენ 2021 წელს საბჭოს მიერ განხორციელებულ როგორც თემატურ მოკვლევებში, ასევე წინა წლებში განხორციელებული თემატური მოკვლევების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგის პროცესში; რეგულარულად ღებულობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ სამუშაო შეხვედრებსა და საკოორდინაციო შეხვედრებში, ასევე, კოორდინირებულად მუშაობდნენ საბჭოსთან საერთაშორისო შეხვედრების, კითხვარების და ინტერვიუების დამუშავების პროცესებში. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 8 და 12 ნოემბერს GREVIO-ს კომიტეტის ვიზიტის ფარგლებში მთავრობის ადმინისტრაციამ უმასპინძლა საბჭოს წევრებსაც, სადაც უწყებათაშორისი კომისიისა და საბჭოს წარმომადგენლებმა ვიზიტორებს გააცნეს მათი საქმიანობის ფარგლებში არსებული ვითარება და სამომავლო გეგმები, ასევე, მოისმინეს GREVIO-ს წარმომადგენლების პირველადი დაკვირვებები.

საქმიანობა 3.3. ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებთან კოორდინაცია

ადგილობრივ დონეზე საკრებულოებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობა და მათი გაძლიერების ხელშეწყობა წარმოადგენდა 2021 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ერთ-ერთ მთავარ

პრიორიტეტს. ამ მიზნით საბჭომ 2021 წელს დაიწყო მცირე სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, რომელიც დონორებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ადგილობრივი გენდერული საბჭოების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შემდგომ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვას. დოკუმენტის პირველადი სამუშაო ვერსიის მიხედვით, გაიწერა საკოორდინაციო შეხვედრების ჩატარება წელიწადში 2-ჯერ, ვიზიტები მუნიციპალიტეტებში, სამუშაო შეხვედრები და ადგილობრივი გენდერული საბჭოების წევრების დატრენინგება მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

საბჭომ აღნიშნული გეგმის შემუშავების მიზნით დონორთა ორ საკოორდინაციო შეხვედრას უმასპინძლა:

1. 2021 წლის 19 აპრილს საბჭომ და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ადგილობრივ დონეზე შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების საკითხებზე. შეხვედრის ბოლოს დაიგეგმა სამომავლო აქტივობები და გაიწერა თანამშრომლობის სამომავლო ნაბიჯების მონახაზი.
2. 2021 წლის 24 დეკემბერს საბჭოს წევრებმა დონორ ორგანიზაციებთან ერთად განიხილეს მუნიციპალურ დონეზე თანამშრომლობის და ადგილობრივი გენდერული საბჭოების გაძლიერების შესაძლო გზები; აღნიშნულ შეხვედრაზე საბჭომ მონაწილეებს გააცნო ერთგვარი სამოქმედო გეგმა და მიიღო მათგან უკუკავშირი.

საბჭოს სამდივნომ იმუშავა დონორთა ერთგვარი რუკის შექმნაზე, რათა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის კოორდინაციის პროცესში უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო კონკრეტული მუნიციპალიტეტების დონორების მიერ დაფარვის არეალი.

გარდა ამისა, გასული წლის 21 მაისს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ორგანიზებული ვიზიტის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოებს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებასა და გაღრმავებას.

ამასთანავე, 2021 წლის შემოდგომაზე ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ 64-ვე ახალარჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაგზავნა წერილები, რომელიც ერთგვარ პირველ კომუნიკაციას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტებთან დაახლოებისა და თანამშრომლობის პროცესში. წერილში საბჭოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა მათი გაძლიერების საქმეში და ყურადღება გაამახვილა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების როლზე ქვეყნის მასშტაბით გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის პროცესში. წერილში ასევე ხაზი გაესვა ადგილობრივ დონეზე ქალების პრობლემების იდენტიფიცირების და მუნიციპალურ პროგრამებში შესაბამისად ასახვის მნიშვნელობას, რადგან ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორიცაა მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი, ძალადობის მსხვერპლი და შშმ სტატუსის მქონე ქალები და მათი ოჯახები არ დარჩნენ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა.

2021 წლის განმავლობაში საბჭო აქტიურად მონაწილეობდა პარტნიორი და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაუმჯობესებასა და თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად. 14 მაისს საბჭოს წევრებმა მიიღეს მონაწილეობა ქალთა

საინფორმაციო ცენტრისა (WIC) და GIZ-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელიც გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციასა და ამ მიზნით შექმნილ სახელმძღვანელოს გაცნობას ეძღვნებოდა.

9 ივნისს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის (MSPA) მხარდაჭერით გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრ ქალთა სამუშაო ჯგუფს უმასპინძლა საქართველოს პარლამენტის სასახლეში. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია და დაიგეგმა სამომავლო შემდგომი თანამშრომლობის ნაბიჯები.

16 აგვისტოს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად საბჭოს თავმჯდომარე თელავის მუნიციპალიტეტს ესტუმრა. შეხვედრის ფარგლებში ნინო წილოსანი გაეცნო როგორც აღნიშნული მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და გამოწვევებს, ასევე ეწვია თელავის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრს და შეხვდა ადგილობრივ მეწარმე ქალებს.

2 დეკემბერს საბჭო ჩაერთო ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში გურია-აჭარის სახელმწიფო რწმუნებული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრა გაიმართა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ჩატარებული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში და საბჭომ მოისმინა როგორც კონკრეტული მუნიციპალიტეტების (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ქობულეთი) მიღწევები და სამომავლო გეგმები გენდერული თანასწორობის კუთხით, ასევე, გაეცნო არსებულ პრაქტიკასა და პერსპექტივებს რწმუნებულის ადმინისტრაციის როლის გაზრდასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების პროცესში.

21 დეკემბერს საბჭოს წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ გამართულ ონლაინ კონფერენციაში, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თანამშრომლობის ხელშეწყობისა და თემის საჭიროებების ადვოკატირების მიზნით გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში აგრეთვე ჩართული იყვნენ ქალთა სამშვიდობო კოალიციის წევრები, დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალები და გოგონები, შესაბამისად საბჭოს საქმიანობიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო აღნიშნული ორმაგად მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებების მოსმენა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება მომავალი წლებისთვისაც.

ამოცანა 4. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომუნიკაციის გაძლიერება

საქმიანობა 4.1. საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიების განხორციელება

საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, 2021 წლის მარტიდან განახლდა ყოველთვიური ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენების გამოქვეყნება, რომელიც თავს უყრის კონკრეტულ თვეში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ განხორციელებულ ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობებს. 2021 წლის განმავლობაში საბჭომ 10 ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენი გაუზიარა როგორც გარე ჩართულ მხარეებს (საერთაშორისო, დონორი და ადგილობრივი ორგანიზაციები, პარტნიორი სახელმწიფო უწყებები), ასევე პარლამენტის წევრებსა და პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, მზადდება კვარტალური ინგლისურენოვანი საინფორმაციო ბიულეტენები უშუალოდ თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით და ეგზავნება შესაბამისი საკონსულტაციო ჯგუფის წევრ ელჩებს.

ამასთანავე, საბჭო აქტიურად იყენებს არაერთ მედია პლატფორმასა და სოციალურ ქსელს, მათ შორის:

საბჭოს Facebook ანგარიშზე რეგულარულად ვრცელდება ინფორმაცია საბჭოს მიერ განხორციელებული შეხვედრების, ვიზიტების, კონფერენციებისა და სხვა საქმიანობების შესახებ; ამასთანავე აღნიშნული პლატფორმა პროაქტიულად გამოიყენება საბჭოს მიერ მომზადებული ინფოგრაფიკებისა და განცხადებების გასავრცელებლად.

საბჭოს YouTube ანგარიში ძირითადად გამოიყენება საბჭოს მიერ მომზადებული ვიდეოების და სხვადასხვა ღონისძიებებზე საბჭოს წევრთა სიტყვით გამოსვლების გასაზიარებლად.

საბჭოს Twitter ანგარიშზე[10] ინფორმაცია საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მხოლოდ ინგლისურ ენაზე ვრცელდება, რადგან ძირითად სამიზნე აუდიტორიას საბჭოს საერთაშორისო პარტნიორები წარმოადგენენ.

2021 წლის 30 დეკემბერს სამივე სოციალურ ქსელში (ქართულ ენაზე და სუბტიტრებით ინგლისურ ენაზე) გამოქვეყნდა საბჭოს თავმჯდომარის, ნინო წილოსანის ვიდეო[11] მიმართვა

[10] საბჭოს Twitter ანგარიში შეიქმნა 2021 წლის 25 იანვარს

[11] ვიდეო მიმართვა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://fb.watch/aL-jsWq_Vk/

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესაჯამებლად.

საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ასევე უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, სადაც პროაქტიულად თავსდება ინფორმაცია საბჭოს საქმიანობების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის: იდება ანონსი საბჭოს სხდომებისა და თემატური მოკვლევების ზეპირი მოსმენების შესახებ, ქვეყნდება საბჭოს მიერ დამუშავებული ანგარიშები და სხვა დოკუმენტები, იწერება სიახლეები საბჭოს მიერ ჩატარებული შეხვედრებისა და საბჭოს წევრების მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესახებ და სხვა.

აღნიშნული პლატფორმების აქტიურად გამოყენების შედეგად, წინა წლებთან შედარებით 2021 წელს გაიზარდა საბჭოს შესახებ ცნობიერება, რაც პირდაპირ აისახება საბჭოსთან თანამშრომლობის სურვილის მქონე ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა რაოდენობაში.

საქმიანობა 4.2. თანამშრომლობის გაღრმავება საკონსულტაციო საბჭოებთან

2021 წელს საბჭო განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რის ფარგლებშიც შექმნილია რამდენიმე საკონსულტაციო ჯგუფი. საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საბჭოს შექმნილი აქვს დონორთა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელთანაც მართავს პერიოდულ შეხვედრებს კონკრეტულ საკითხებზე სამუშაოდ, მათ შორის:

2021 წლის 13 აპრილს დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა საქართველოს საკანონმდებლო საქმიანობაში გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) დანერგვის საკითხთან დაკავშირებით. შეხვედრაზე საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა გამოხატეს მოსაზრებები GIA-ს ინსტიტუციონალიზაციის ფორმისა და მნიშვნელობის შესახებ.

2021 წლის 19 აპრილს საბჭომ დონორთა საკოორდინაციო რიგით მეორე შეხვედრას უმასპინძლა. საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ადგილობრივ დონეზე შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების საკითხებზე. შეხვედრის ბოლოს დაიგეგმა სამომავლო აქტივობები და გაიწერა თანამშრომლობის გეგმა.

2021 წლის 23 აპრილს გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოხდა საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა. შეხვედრის შედეგად საქმიანობები დონორთა პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდა.

2021 წლის 16 ივნისს საბჭოს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაცია ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის თანამშრომლობით საპარლამენტო საქმიანობაში თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშვნელობის მიმოხილვის მიზნით, ელჩებთან საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში საბჭოს სამდივნო პროაქტიულად უზიარებს საკონსულტაციო ჯგუფს ინფორმაციას მიმდინარე საკითხების შესახებ კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენების სახით.

2021 წლის 27 ივლისს საბჭოს თავმჯდომარე დონორი და სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილი 2021 წლის 18 ივლისის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ოპოზიციური პარტიის წევრ ქალებსა და მმართველი პარტიის წევრ მამაკაცებს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ. შეხვედრაზე მხარეებმა დააფიქსირეს საკუთარი პოზიციები და იმსჯელეს სამომავლო ნაბიჯების შესახებ.

2021 წლის 24 დეკემბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ წლის ბოლოს საკოორდინაციო შეხვედრას უმასპინძლა, რომლის ფარგლებშიც დონორ ორგანიზაციებთან ერთად განიხილა მუნიციპალურ დონეზე თანამშრომლობის, კერძოდ, საკრებულოებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობისა და მათი გაძლიერების შესაძლო გზები; აღნიშნულ შეხვედრაზე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ მონაწილეებს გააცნო ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის ერთგვარი სამოქმედო გეგმა და მიიღო მათგან უკუკავშირი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის: საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა, გენდერული თანასწორობის განახლებული სახელმწიფო კონცეფცია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია, საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა, სწორედ საკონსულტაციო საბჭოებთან უკუკავშირის საფუძველზე შეიქმნა. აღნიშნული ჯგუფების წევრები, მათი თემატური მიმართულებების მიხედვით, მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ და ერთვებოდნენ საბჭოს ყველა სამუშაო შეხვედრასა და სხდომაში.

საქმიანობა 4.3. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება

გლობალური პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, 2021 წელს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს ფიზიკურად არ მიუღია მონაწილეობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში, თუმცა დისტანციურად საბჭო აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაზე, რის ფარგლებშიც:

- 9 თებერვალს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა OECD ვებინარზე ისაუბრა პანდემიის დროს ქალების გამოწვევებზე, გაუზიარა მათ საბჭოს პოლიტიკის აქცენტები ამ მიმართულებით და მოისმინა პარტნიორი სახელმწიფოების გამოცდილება COVID-19-ის პირობებში გენდერული თანასწორობის საკითხების უზრუნველყოფის შესახებ.
- 13 აპრილს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით გლობალური ქსელის „ქალი პოლიტიკური ლიდერები“ (WPL) წარმომადგენლად დაინიშნა. აღნიშნული ქსელი პოლიტიკოს ქალებს აერთიანებს და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლატფორმას გამოცდილებებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების კუთხით.
- 30 ივნისი - 2 ივლისის პერიოდში საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა მარიამ ლაშხმა დისტანციურად მიიღეს მონაწილეობა პარიზში გამართულ თანასწორობის თაობის ფორუმში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საფრანგეთისა და მექსიკის მთავრობებთან ერთად გაუწია ორგანიზება. ფორუმის მიზანს წარმოადგენდა ჩართული ქვეყნების მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების გაჟღერება გენდერული თანასწორობის პროგრესის მისაღწევად. ამასთანავე, აღნიშნული ფორუმის ფარგლებში საბჭომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დაამუშავა ქვეყნის მიერ ასაღები ვალდებულებების ფორმულირება.
- 21 ოქტომბერს საბჭომ მიიღო მონაწილეობა ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი გამოვიდა სიტყვით და გააკეთა მოკლე მოხსენება ქვეყნის მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.
- 15 ნოემბერს საბჭომ საქართველოს პარლამენტის სასახლეში უმასპინძლა აზერბაიჯანის დელეგაციას სტამბული კონვენციის რატიფიცირების საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრა სასწავლო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა და მიზნად ისახავდა სტამბულის კონვენციის რატიფიცირებისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე

კარგი პრაქტიკების გაზიარებას. მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს განვლილი გზა სტამბულის კონვენციის რატიფიცირებამდე, კონვენციის რატიფიკაციის შედეგები და სახელმწიფოს მთავარი მიღწევები.

- 8 და 12 ნოემბერს საბჭომ მონაწილეობა მიიღო GREVIO-ს კომიტეტის ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დაგეგმილ შეხვედრებში. შეხვედრების ფარგლებში საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა ვიზიტორებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობები გააცნო. ასევე, საბჭომ მოისმინა კომიტეტის პირველადი შეფასებები.
- მაისში საბჭომ მიიღო მონაწილეობა ეუთოს სიღრმისეულ კვლევაში საქართველოს პარლამენტის საქმიანობის გენდერული ასპექტების შესახებ და მკვლევარს ინტერვიუსა და წერილობითი სახით გაუზიარა მოთხოვნილი ინფორმაცია.
- საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო ქალ პოლიტიკურ ლიდერთა ქსელის WPL-ის 2021 წელს გამართულ კონფერენციებსა და WPL-ის ფარგლებში ამავე წლის 9-10 ნოემბერს გამართულ რეიკიავიკის გლობალურ ფორუმში.
- 5-9 დეკემბერს საბჭოს წევრმა ხათუნა კვიციანმა და საბჭოს სამდივნოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) გენდერული თანასწორობის მიმართულების ახალი პროექტის „CHANGE”-ს ფარგლებში გამართულ 5 დღიან ტრენინგში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, საბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გენდერული მიმართულების ხელმძღვანელს და დასახეს თანამშრომლობის სამომავლო გზები.
- საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი 10 დეკემბერს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის გენერალურ მდივანს ანდრეას კიფერს შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გენდერული თანასწორობის საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობების ჭრილში.
- 14 დეკემბერს საბჭოს წევრი მარიამ ლაშხი სიტყვით გამოვიდა მსოფლიო ბანკის ვირტუალურ ღონისძიებაზე და ისაუბრა გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის საკითხებზე. მან აქცენტი გააკეთა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე, როგორც გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმზე.
- 2021 წლის განმავლობაში საბჭოს წევრი თამარ ტალიაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის ფარგლებში აქტიურად მუშაობდა გენდერული თანასწორობის, მათ შორის ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კომიტეტის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. ასევე აღსანიშნავია, რომ თამარ ტალიაშვილის ინიციატივით განხორციელდა აქტიური მუშაობა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით დედათა პროფესიაში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით.

საქმიანობა 4.4. კოორდინირებული საქმიანობა დონორ ორგანიზაციებთან

2021 წელს საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციებთან სამოქმედო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე. როგორც ზემოთ 4.2 საქმიანობაში აღვნიშნეთ, 2021 წლის განმავლობაში საბჭომ 5 დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა ჩაატარა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელების თაობაზე.

ამასთანავე, 2021 წელს საბჭოს ეგიდითა და დონორ ორგანიზაციებთან კოორდინირებით შეიქმნა ისეთი თანამშრომლობის მექანიზმები, როგორიცაა:

1. ელჩების მრჩეველთა საკონსულტაციო საბჭო - პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო (EDI) თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებზე სამუშაოდ დონორი ორგანიზაცია ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით.
2. თანასწორობის თაობის ფორუმის ფარგლებში ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ჯგუფი - პარიზში გამართული ფორუმის მიზანს წარმოადგენდა ჩართული ქვეყნების მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების გაჟღერება გენდერული თანასწორობის პროგრესის მისაღწევად, რის ფარგლებშიც ქვეყანამ აიღო ვალდებულებები 2 მიმართულებით: 1. გენდერული ნიშნით ძალადობა - Gender-Based Violence და 2. ტექნოლოგიები და ინოვაციები გენდერული თანასწორობისთვის - Technology and innovation for Gender Equality. ამ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების, კოორდინირებული მონიტორინგისა და პროგრესის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ შექმნა საკოორდინაციო მექანიზმი - მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, გაეროს ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობენ საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი და ნიკო თათულაშვილი, პრემიერის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჯგუფი შეიკრიბება წელიწადში ორჯერ, რათა ზედამხედველობა გაუწიოს თანასწორობის თაობის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.[12]
3. ადგილობრივ დონეზე საკრებულოების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობის დონორთა ჯგუფი - შეიქმნა აღნიშნული საბჭოების გაძლიერებისა და დახმარების მიზნით.

საქმიანობა 4.5. პარლამენტისთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 76-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პირველად მომზადდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში 2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.[13] ანგარიში 2021 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგინა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა.

[12] ანგარიში მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებების სამდივნოსთან კოორდინაციით

[13] მხარდამჭერი დონორი ორგანიზაცია - გაეროს ქალთა ორგანიზაცია

ამოცანა 5. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა

საქმიანობა 5.1. გენდერული კვოტირების შესახებ პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური კომუნიკაცია გენდერული კვოტირების მექანიზმის ეფექტურად გამოყენების მიზნით

2021 წელს საბჭომ კომუნიკაცია განახორციელა პოლიტიკურ პარტიებთან გენდერული კვოტირების მექანიზმის მნიშვნელობასა და ეფექტიანად გამოყენების საკითხზე. აღნიშნული მიზნით გასული წლის 1 ივნისს გაიმართა ინტერპარტიული არაფორმალური შეხვედრა დეპუტატ ქალთა მონაწილეობით. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა გენდერული კვოტირების მნიშვნელობაზე, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გამოწვევებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე. საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ისაუბრეს კვოტირების შესახებ მათ მოსაზრებებსა და პოლიტიკაში მონაწილეობის პირად გამოწვევებზე.

საქმიანობა 5.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობა

მიუხედავად გლობალური პანდემიისა, საბჭომ მოახერხა აქტიურად ეწარმოებინა კამპანიები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით გამოსადეგი იყო სოციალური ქსელები და მათ პლატფორმაზე დაგეგმილი სოციალური კამპანიები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ.

2021 წლის 4 მარტს საბჭოს ოფიციალურ Facebook გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ბავშვის უფლებათა დაცვის საბჭოს ერთობლივი განცხადება გავრცელდა. განცხადებაში ორივე საბჭომ დაგმო 13 წლის ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტი და აღნიშნა, რომ შემზარავია ბავშვზე ნებისმიერი ფორმის, მათ შორის, სექსუალური ხასიათის ძალადობა. საბჭოებმა შესაბამის უწყებებს მყისიერი და ეფექტური რეაგირებისაკენ, მედია საშუალებებს კი გაშუქებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობისაკენ მოუწოდეს.

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, 2021 წლის 18 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭო განცხადებით გამოეხმაურა ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ოჯახური ძალადობის საკითხთან დაკავშირებით და ასევე ქალი უფლებადამცველების მიმართ მომატებულ აგრესიას.

2021 წლის 14 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭომ ოფიციალურ Facebook გვერდზე გაავრცელა საბჭოს თავმჯდომარის ნინო წილოსანის განცხადება. მან სოლიდარობა გამოუცხადა ნინუცა მაყაშვილს, რომელმაც სამაგალითო გამბედაობა გამოიჩინა და საკუთარ მძიმე

გამოცდილებაზე ღიად ისაუბრა. განცხადებაში ყურადღება იყო გამახვილებული საზოგადოებაში მოძალადის გამართლების მანკიერ პრაქტიკაზე.

2021 წლის 20 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭომ გამოაქვეყნა საინფორმაციო პოსტი და ინფოგრაფიკა. საბჭომ მოქალაქეებს გააცნო ის ნიშნები, რითაც ოჯახში ძალადობის შემთხვევის ამოცნობაა შესაძლებელი. საბჭომ მოქალაქეებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია იმ ცხელი ხაზების შესახებ, რომელზე დაკავშირებითაც ხდება ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე დროული რეაგირების უზრუნველყოფა. გენდერული თანასწორობის საბჭომ 21, 22, 23, 29 აპრილს დამატებით გამოაქვეყნა საინფორმაციო პოსტები და ინფოგრაფიკები. საბჭომ მოქალაქეებს მიაწოდა ინფორმაცია ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, გაუპატიურების კულტურისა და მათზე რეაგირების შესახებ.

2021 წლის 20 მაისს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტებთან ერთად ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ასპექტები და ამ მხრივ არსებული გამოწვევები. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია განთავსდა საბჭოს ოფიციალურ Facebook გვერდზე.

2021 წლის 3 ივნისს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა ძალადობის მსხვერპლთა, „დედათა და ბავშვთა თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი“ და თავშესაფრის ბაზაზე არსებული სოციალური საწარმო „გემომეტრია“ მოინახულა. ვიზიტის ამსახველი საინფორმაციო პოსტი ასევე განთავსდა საბჭოს ოფიციალურ Facebook გვერდზე.

2021 წლის 2 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭო ოფიციალურ Facebook გვერდზე ავსტრალიელი მასწავლებლის შანაი ბრუკის მკვლელობის ფაქტს გამოეხმაურა.

2021 წლის 16 აგვისტოს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრს ეწვია.

2021 წლის 17 აგვისტოს საბჭომ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ოფიციალურ Facebook გვერდზე გააზიარა „შრომის ლექსიკონის“ ვიდეო, რომელშიც საუბარია არადისკრიმინაციულ გარემოსა და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციისაგან დაცვის მნიშვნელობის შესახებ.

2021 წლის მეორე ნახევარში საბჭომ წინასაარჩევნო პერიოდში ქალი კანდიდატების დისკრიმინაციის პრევენციისათვის პარტიათაშორისი პლატფორმა შექმნა. აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში, 4 და 7 სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭო წინასაარჩევნო პერიოდში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ დისკრიმინაციულ ფაქტებს გამოეხმაურა.

2021 წლის 25 ოქტომბერს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი და საბჭოს წევრი გიორგი ხელაშვილი თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრს ეწვივნენ და ბენეფიციარების საჭიროებებსა და კრიზისული ცენტრის საქმიანობის მიმართულებებს გაეცნენ.

2021 წლის 26 ოქტომბერს საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომლის პირველი სესიაც ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივების გაცნობას დაეთმო.

2021 წლის 25 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭო პირველად შეუერთდა გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიან გლობალურ კამპანიას. საბჭოს მიერ განხორციელებული ზოგიერთი აქტივობა:

- 25 ნოემბერი - საბჭოს წევრების ვიდეო მიმართვა გამოქვეყნდა საბჭოს გვერდზე;
- 25 ნოემბერი - საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კავშირი „საფარის“ ორგანიზებულ კონფერენციაში „სქესობრივი დანაშაულები: გამოწვევები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში“;
- 29 ნოემბერი - საბჭომ მოქალაქეებს გააცნო ქალთა მიმართ ძალადობის დროს მსხვერპლის მიერ გამოსაყენებელი დახმარების სიგნალი.
- 30 ნოემბერი - საბჭომ მოქალაქეებს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს ერთობლივი პროგრამის კვლევის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატისტიკა გააცნო.
- 7 დეკემბერი - საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს ეწვია. შეხვედრაზე მხარეებმა ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირების პრობლემებზე, მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობასა და მონიტორინგის მექანიზმის გამოწვევებზე ისაუბრეს.
- 9 დეკემბერი - საბჭომ გამოაქვეყნა საინფორმაციო პოსტი და ინფოგრაფიკა, რომელზეც ასახულია იმ სამთავრობო ცხელი ხაზების ნომრები, რომლებსაც უნდა დაუკავშირდეს მოქალაქე, თუ თავად გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან ფლობს ინფორმაციას ოჯახში ძალადობის შესახებ.
- 9 დეკემბერი - საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „ინკლუზიური საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ქალების გაძლიერების გზით“ მიიღო მონაწილეობა.

10 დეკემბერს საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ მონაწილეობა მიიღეს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ფორუმში: „ადამიანთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება და უთანასწორობის შემცირება“. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით საბჭოს მუშაობის გამოცდილება გააცნო.

საქმიანობა 5.3. თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან

2021 წლის განმავლობაში საბჭო აქტიურად მუშაობდა მისი საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და თანამშრომლობის გაღრმავებაზე. აქტიური კომუნიკაციის შედეგად, 2021 წელს საბჭოს პარტნიორების რიცხვს შეემატნენ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის:

1. <u>ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში</u> - 29 სექტემბერს საბჭოს თავმჯდომარე ევროკავშირის წარმომადგენლობაში შრომის ბაზრის, მიგრაციის და გენდერის მიმართულებით ატაშესა და პროგრამის მენეჯერს იურატე იუოდსნუკიტეს შეხვდა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი საქმიანობები და დასახეს სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.
2. <u>საფრანგეთის განვითარების სააგენტო</u> - 16 სექტემბერს საბჭოს სამდივნო საფრანგეთის განვითარების სააგენტოს გენდერული მიმართულების წარმომადგენელს, სესილია

მორენო კრუზს შეხვდა. მხარეებმა მიმოიხილეს ქვეყანაში გენდერის კუთხით არსებული მდგომარეობა.

3. ევროპის საბჭოს პროექტი „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ – 16 დეკემბერს საბჭო აღნიშნული პროექტის წარმომადგენელს ნინო ცაგარეიშვილსა და მის კოლეგებს შეხვდნენ. შედეგად, აღნიშნული პროექტი საბჭოს აქტიური პარტნიორი გახდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობის ფარგლებში.
4. ევროკავშირის პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფთან (EU4GenderHelpDesk) – 26 ოქტომბერს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი აღნიშნული პროექტის წარმომადგენელს ნინო ჯანაშიას შეხვდა. ღონისძიების ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს თანამშრომლობის მიმართულებებზე, რის შედეგადაც შედგა ურთიერთთანამშრომლობის ერთგვარი სამოქმედო გეგმა.
5. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - 19 ივლისს საბჭოს წევრებმა საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ოფისის ორ წარმომადგენელს თამარ ტატანაშვილსა და ლიკა საჯაიას უმასპინძლეს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი საქმიანობები და სამომავლოდ გადაკვეთის შესაძლო სფეროები.
6. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) – 29 აპრილს საბჭოს წევრები გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მხარეები გაეცვნენ მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

საქმიანობა 5.4. სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება

სექსუალური შევიწროების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის საბჭო არა მხოლოდ აქტიურად გეგმავდა სხვადასხვა სოციალურ კამპანიებსა და განცხადებებს, არამედ ერთვებოდა დონორი და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

2021 წლის ივნისში საბჭოს მიერ დაიგეგმა სოციალური კამპანია სექსუალური შევიწროების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით:

15 ივნისს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებისა და სექსუალური შევიწროვების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საბჭოს თავმჯდომარის ნინო წილოსანის მიმართვა გამოქვეყნდა.

ამავე დღეს Facebook ჯგუფ „Georgian Moms“-ის წევრებისათვის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ ვებინარი სექსუალური შევიწროვებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. მომხსენებლები იყვნენ:

- ნინო წილოსანი - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე;
- ქეთი შუბაშვილი - სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი;
- დიმიტრი ცქიტიშვილი - მე-9 მოწვევის პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი.

საბჭომ საკუთარ სოციალურ მედიაში პროაქტიულად გაავრცელა ინფორმაცია ონლაინ ვებინარის შესახებ.

16 ივნისს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საბჭომ ოფიციალურ Facebook გვერდზე გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომელიც ასახავს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შსს-ს მიერ გამოვლენილ შემთხვევებს 2019 წლიდან 2021 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით.

18 ივნისს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საბჭომ მოქალაქეებს გააცნო სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის ქეთი შუბაშვილის მიმართვა სექსუალური შევიწროების შესახებ. ამავე კამპანიის ფარგლებში 2021 წლის 24 ივნისს საბჭომ საზოგადოებას საბჭოს წევრის ხატია წილოსანის ციტატა გააცნო.

25 ივნისს საბჭომ ოფიციალურ Facebook გვერდზე გამოაქვეყნა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შსს-ს მიერ 2018 წლიდან 2021 წლის აპრილის ჩათვლით გაცემული ორდერების სტატისტიკა.

28 ივნისს საბჭომ ოფიციალურ Facebook გვერდზე გამოაქვეყნა გაეროს მონაცემები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების შესახებ.

4 აგვისტოს საბჭომ გააზიარა „შრომის ლექსიკონის“ ვიდეო სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროებისა და მისგან თავდაცვის საშუალებების შესახებ.

1 დეკემბერს საბჭომ 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში მოქალაქეებს საქართველოში სექსუალური შევიწროების ინციდენტების შესახებ არსებული სტატისტიკა გააცნო.

2 დეკემბერს საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების გაუმჯობესების საკითხებზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ მაღალი დონის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

8 დეკემბერს საბჭომ გააზიარა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პოსტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი შეიქმნა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული კამპანიების წარმოებისა და ღონისძიებების/პოსტების დაგეგმვისთვის საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და ამუშავებდა შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას.

რაც შეეხება პარტნიორი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას, საბჭოს წევრები აქტიურად ერთვებოდნენ სხვადასხვა კონფერენციებსა და პრეზენტაციებში, მათ შორის:

27 მაისს USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ჩართულობით სექსუალური შევიწროების საკითხებზე ჩატარდა შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან, რომელშიც გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი სპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეც მონაწილეობდა. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტმა სამუშაო ადგილზე და საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის (ნააკ) განხორციელების პროექტის მონახაზი წარადგინა, მათ შორის ნააკ-ის ორგანიზების მეთოდოლოგია და პროცედურები, საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და მოსალოდნელი შედეგები.

20 სექტემბერს საბჭო ჩაერთო გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციაში. შეხვედრაზე მოხდა კვლევის ანგარიშის წარდგენა საქართველოს საჯარო სამსახურში სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ.

22 სექტემბერს საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რის ფარგლებშიც გაეცვნენ სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ახლადშექმნილ სახელმძღვანელოს.

მიუხედავად 2021 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა, საბჭოს გადაწყვეტილებით სექსუალური შევიწროების საკითხზე მუშაობა კვლავაც დარჩება საბჭოს მომავალი წლების პრიორიტეტებში და ამ მხრივ საბჭო კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებს ძალოვან უწყებებთან მეტად კოორდინირებული და მდგრადი მიდგომის უზრუნველსაყოფად.

საქმიანობა 5.5. საინფორმაციო შეხვედრები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების ირგვლივ

აღნიშნულ საქმიანობაში განსაზღვრული იყო საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, როგორც სპორტის, ასევე აგრარულ სექტორში ჩართულ ქალებსა და მარტოხელა დედებთან. მიუხედავად 2021 წელს პანდემიის მდგომარეობით გამოწვეული შეზღუდვებისა, საბჭომ მოახერხა მეტნაკლებად სამივე მიმართულება დაეფარა და განეხორციელებინა შესაბამისი აქტივობები. მაგალითად, აგრარულ სექტორში ჩართულ ქალებთან შეხვედრების კუთხით:

3 ივნისს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი ახალციხეში დემოკრატ ქალთა ორგანიზაციას ეწვია, რომელიც მნიშვნელოვან მისიას ასრულებს რეგიონში ქალთა გაძლიერების, მათ შორის, აგრარული და ეკონომიკური კუთხით. ნინო წილოსანი გაეცნო ორგანიზაციის მიერ გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელებულ არაერთ პროექტსა და აქტივობას.

14 ოქტომბერს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად სამეგრელოში მცხოვრებ ქალებს შეხვდა. მათ მოინახულეს ფონდი „ნეფა“, შევხვდნენ ადგილობრივ აქტიურ ქალებსა და ასევე ესტუმრნენ ფერმერთა საველე სკოლას სენაკში.

15 ოქტომბერს საბჭოს თავმჯდომარე გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელთან კაორი იშიკავასთან ერთად გურიას ესტუმრა. ისინი ორაგვესა და ჩიბათში ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის, იმ ქალებს შეხვდნენ, რომლებიც ადგილობრივ დონეზე თემის პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ასევე მოინახულეს სოციალური კაფე „ქეთო“, სადაც ლანჩხუთში ადგილობრივ ქალ მეწარმეებს შეხვდნენ. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა პანდემიით გამოწვეული ზიანი, ადგილობრივ ქალთა საჭიროებები და მათი დაძლევის შესაძლო გზები.

23 ნოემბერს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი ესტონეთის ელჩ რიინა კალიურნდთან ერთად ესტუმრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტს და შეხვდა აგრარულ სექტორში დასაქმებულ მეწარმე ქალებს. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა მეწარმე ქალების მცირე ბიზნესის სამომავლო გეგმები და პრობლემები.

რაც შეეხება სპორტის მიმართულებით განხორციელებულ საინფორმაციო აქტივობებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ვერ მოხერხდა სპორტსმენ ქალებთან შეხვედრები, საბჭო 2021 წლის განმავლობაში არაერთხელ გამოეხმაურა სპორტსმენი ქალების მიერ მიღწეულ წარმატებას და მოამზადა შესაბამისი პოსტები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით:

22 ივნისს საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გაზიარდა GEORGIAN RAGBY- ს პოსტი, რომლის თანახმადაც სამხრეთ აფრიკასთან და შოტლანდიასთან „ქალთა მიმართ ძალადობის

წინააღმდეგ“ კამპანიის მხარდასაჭერად ბორჯღალოსნები გაეროს ქალთა ორგანიზაციის ბრენდირებული მაისურებით ითამაშებდნენ;

9 ივლისს საბჭო თავის ოფიციალურ გვერდზე გამოეხმაურა ქალთა გუნდურ შეჯიბრში საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრების მსოფლიო ჩემპიონობას, მადლობა გადაუხადა მოფარიკავე ქალებს არამხოლოდ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვების, არამედ გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვისაც.

25 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გაზიარდა „საქართველოს ოლიმპიურ თამაშებზე“ გვერდის პოსტი, რომლის თანახმადაც, ნინო თიბილაშვილი გახდა პირველი ქართველი პარაოლიმპიელი ქალი, რომელმაც პარაოლიმპიურ თამაშებზე მედლის მოპოვება შეძლო.

25 აგვისტოს საბჭომ ასევე გააზიარა საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პოსტი და 15 წლის მარიამ მურღვლიანს მიულოცა ჭაბუკ ძალოსანთა შეჯიბრზე ევროპის ჩემპიონის ტიტულისა და სამი ოქროს მედლის მოპოვება.

17 სექტემბერს საბჭომ გააზიარა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პოსტი და ელენე ილურიძეს მიულოცა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში თამაში. საბჭომ ხაზი გაუსვა ქალების უსაზღვრო შესაძლებლობებს სპორტში და მათი რეალიზების მნიშვნელობას.

8 დეკემბერს საბჭომ გააზიარა ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის პოსტი, რომლის თანახმადაც ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ფეხბურთელები მომდევნო მატჩზე ეროვნული გმირის მარო მაყაშვილის დაღუპვიდან 100 წლის თავზე მისი სახელობის მაისურებით გამოვიდნენ.

31 დეკემბერს საბჭომ გააზიარა GEORGIA RAGBY-ს პოსტი, რომლის თანახმადაც საუკეთესო ქალი მორაგბე მანონი საღარაძე გახდა. საბჭომ მიულოცა მანონის წარმატება და უსურვა კარიერული წინსვლა.

რაც შეეხება მარტოხელა დედათა საკითხს, აღნიშნული მიმართულება საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლების, არამედ კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხითაც. საბჭომ დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის დამუშავება მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოების მიზნით.

2021 წლის 24 ნოემბერს ქალთა ფონდ „ფემინასთან“ თანამშრომლობით საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებსა და მრავალშვილიან დედებს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მან მოისმინა მონაწილეთა საჭიროებები და დაამუშავა გაჟღერებული მიმართულებები სამომავლო გეგმებში ინტეგრირებისთვის.

2021 წლის 14 დეკემბერს საბჭომ მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე საბჭოს თავმჯდომარემ, ექსპერტებმა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში ეფექტურად დასანერგად აუცილებელი ნაბიჯები განიხილეს. აღსანიშნავია, რომ გასული წლის განმავლობაში არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა მარტოხელა მშობლის სტატუსის საკითხთან დაკავშირებით.

საქმიანობა 5.6. ევროპული ქარტიის პრინციპის - „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ შესახებ ხელის შეწყობა

2021 წელს აღნიშნული მიმართულებით აქტივობები ვერ განხორციელდა, რადგან საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული იყო საბჭოს წევრების ვიზიტები რეგიონებში ქარტიის პრინციპის

პოპულარიზაციის მიზნით, რაც პანდემიიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა, ხოლო მსგავსი შეხვედრების ონლაინ ფორმატში ჩატარება ჩაითვალა არაეფექტურად; შესაბამისად აღნიშნული აქტივობების განხორციელება დაიგეგმა მომავალი წლისთვის.

საქმიანობა 5.7. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა წარმოადგენს, საბჭოს 2021 წლის საქმიანობის საკმაოდ დიდ ნაწილს სწორედ აღნიშნული აქტივობები ფარავდა, რომლებიც დეტალურადაა განხილული ამავე ანგარიშის 5.2, 5.3, 5.4 და 5.5 საქმიანობებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 8 სხდომა და 140 სამუშაო შეხვედრა თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში ცალკეული დონორებისა და უწყებების ჩართულობით. აგრეთვე, პარტნიორების მიერ ორგანიზებულ 58 ფორუმსა და კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და განხილვის საკითხები; ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; ინკლუზიური საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ქალთა გაძლიერების გზით; მეწარმე ქალთა მენტორობის პროგრამის დანერგვა; ოჯახისადმი მეგობრული პოლიტიკა სამუშაო ადგილებზე და სხვა.

გარდა ამისა, საბჭოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს:

- ✓ სახალხო დამცველის კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფის შეხვედრასა და ინტერვიუში.
- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის ფარგლებში ჩატარებულ კითხვარსა და ინტერვიუში.
- ✓ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ჩატარებულ ინტერვიუში.

საბჭომ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ახალი მიმართულებებით - ქალები მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. ამ მიზნით საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ისეთ ღონისძიებაში, როგორიცაა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ სამწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში, სახელმწიფო უწყებების, სამიზნე მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი სემინარი. საბჭომ ასევე მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში.

საბჭო ჩაერთო დონორების მიერ ორგანიზებულ 2 მაღალი დონის შეხვედრაში, მათ შორის: გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული კონფერენცია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების გაუმჯობესების საკითხებზე და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ფორუმი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე.

საბჭოს წევრები ასევე ხშირად იყენებდნენ საეთერო სივრცესაც გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მაგალითად:

ამოცანა 6. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი

საქმიანობა 6.1. საქართველოს მთავრობის ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწესგან

2021 წლის 24 მაისის სხდომაზე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრებმა მოისმინეს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსმა მაკა ფერაძემ წარმოადგინა და მოიცავდა ასევე ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

საქმიანობა 6.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა

2021 წლის 24 მაისის სხდომაზე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრებმა მოისმინეს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსმა მაკა ფერაძემ წარმოადგინა.

საქმიანობა 6.3. საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საპარლამენტო მონიტორინგში საბჭოს ჩართვა

2021 წლის 18 ოქტომბერს საბჭოს წევრები გაეცნენ „კოალიცია თანასწორობისთვის“ და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების ექსპერტების მიერ მომზადებულ ჩრდილოვან ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც მათ GREVIO-ს წარუდგინეს საქართველოში არსებული მდგომარეობის პირველი (საბაზისო) შეფასების ფარგლებში.

საბჭოს მიერ 2021 წელს განხორციელებული დამატებითი საქმიანობები

2021 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებს გარეთ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივები

1. „მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმება, როგორც თავშესაფრის სერვისებით სარგებლობის წინაპირობა - საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმებას, რაც ხელს უშლის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ მხარდაჭერის მომსახურებების, მათ შორის, თავშესაფრის ხელმისაწვდომობას.

ე.წ. „მსხვერპლის სტატუსის“ არსებობა პირდაპირ კავშირშია და ძირითადი წინაპირობაა სახელმწიფო მომსახურებებით სარგებლობისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ძალადობა გამოვლილი ადამიანისთვის.

აღნიშნული ცვლილებათა პაკეტის მიზანია:

- კანონმდებლობის სტამბულის კონვენციის დებულებებთან უფრო მეტად ჰარმონიზება და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება, რაც უკავშირდება მსხვერპლების მიერ მხარდაჭერის მომსახურებებით, მათ შორის, თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით სარგებლობისთვის დღეს არსებული ბარიერების დაძლევას/აღმოფხვრას.
- წარმოდგენილი ცვლილებების მიღებით მხარდაჭერის მომსახურებებით, მათ შორის თავშესაფრით, სარგებლობა შეუფერხებელი და ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ძალადობის მსხვერპლებისთვის, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო სრულად გაიზიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს ამ ნაწილში.

2021 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს პარლამენტის წევრები, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დისკუსია და საბჭომ მიიღო შენიშვნები/კომენტარები ინიციატივასთან დაკავშირებით.

2021 წლის 3 ნოემბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ ჩაატარა დისკუსიის რიგით მეორე რაუნდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, საქართველოს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროცესების შედეგად საბჭომ მიიღო უკუკავშირი უწყებებისაგან, რის საფუძველზეც დამუშავდა ინიციატივის საბოლოო ვერსია. აღნიშნული ცვლილებების ინიცირება დაიგეგმა პარლამენტის 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

2. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოების საკითხი - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით 2021 წელს დაიწყო მუშაობა და გაანალიზდა მარტოხელა მშობლის სტატუსის შეცვლის საკითხი. გაანალიზდა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს მარტოხელა მშობლის სამართლებრივ სტატუსს და აღნიშნული სტატუსის მქონე პირთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს მარტოხელა მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის ძირეულ შესწავლასა და გაანალიზებას. მათ შორის სტატისტიკური მონაცემების, ასევე საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზს და საერთაშორისო კონვენციებთან და ვალდებულებებთან შესაბამისობის დადგენას.

ინიციატივის შედეგად უნდა დაიხვეწოს პრაქტიკა და კანონმდებლობა და მარტოხელა მშობლებისთვის შეიქმნას უკეთესი სამართლებრივი და სოციალური გარემო.

ამ მიზნით, 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და უშუალოდ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების მონაწილეობით.

3. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე - ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნული ინიციატივა საბჭოს 2021 წლის 23 აპრილს გააცნეს. წინადადება ითვალისწინებს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უფლებამოსილების ნაწილში დაემატება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, რაც გულისხმობს უფრო ზუსტი გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებას და ხელს შეუწყობს გენდერული სტატისტიკური მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შექმნას, რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკის უფრო ეფექტიანი დაგეგმვა.

აღნიშნული წინადადების განხილვის მიზნით, 2021 წლის 28 სექტემბერს საბჭოს თავმჯდომარე შეხვდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლებს და იმსჯელეს ინიციატივის თაობაზე. სამომავლო შეხვედრები დაგეგმილია 2022 წლის განმავლობაში.

მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზის მოწყობა საქართველოს პარლამენტის სასახლეში

გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და დონორი ორგანიზაციების - გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პარლამენტის სასახლის ერთ-ერთ ოთახს საქართველოს ეროვნული გმირი ქალის, **მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზის** სახელწოდება მიენიჭა. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში ქალთა ღვაწლის უპირობო აღიარებას. დარბაზი მოეწყო და აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით. ამავდროულად, მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი[14] მარო მაყაშვილისა და მისი ღვაწლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. დარბაზის გახსნის ცერემონია 2021 წლის 7 დეკემბერს გაიმართა.

საზეიმო გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პარლამენტის თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი, შვედეთის ელჩი ულრიკ თიდესტრომმი, ასევე გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

ინიციატივა მეწარმე ქალთა ხელშეწყობისათვის

2021 წელს ჩატარდა 5 სამუშაო შეხვედრა სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოს, სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით გურიის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების საგრანტო პროგრამის დანერგვასა და მეწარმე ქალთა მენტორობის პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით.

მენტორობის პროგრამაზე მუშაობის ფარგლებში შემუშავდა პროექტის ერთგვარი მონახაზი და სამოქმედო გეგმა, თუმცა აღნიშნული სამუშაოების გაგრძელება იგეგმება 2022 წლისათვის.

აღნიშნული მენტორობის პროგრამა წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის ერთგვარ ნაწილს და მიზნად ისახავს რეგიონებში ქალთა გაძლიერებას მათთვის გამოცდილი მეწარმე ქალების მენტორებად დანიშვნის, გადამზადებისა და სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის კუთხით.

[14] ვიდეორგოლი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.facebook.com/watch/?v=875229859850897

ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე

2021 წელს საბჭოს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა გენდერული რესურსების ერთიანი ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე, რაც ერთ სივრცეში გააერთიანებს გენდერული თანასწორობის შესახებ ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურას და მარტივად ხელმისაწვდომს გახდის მათ მოძიებას დაინტერესებული მხარეებისთვის. ამასთანავე, საბჭოს ბაზაზე ონლაინ ბიბლიოთეკის არსებობა ხელს შეუწყობს საბჭოს მხრიდან მოქალაქეებში ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მიმართულებით. ამ მიზნით 2021 წელს ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა, რის ფარგლებშიც მომზადდა ვებგვერდის სტრუქტურისა და შინაარსის ძირითადი მონახაზი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
რუსთაველის გამზირი 8. 0114, თბილისი
gender@parliament.ge